უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 21 0000701849

12/07/2021

შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს უმაღლესი სასწავლებელ მილენიუმის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და ავტორიზაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის მიერ 2021 წლის 17 ივნისის წარმოდგენილი წერილის (ცენტრში რეგისტრაციის № 590704), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯამების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 84-ე მუხლის პირველი პუნქტის და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს უმაღლესი სასწავლებელ მილენიუმს (ს/კ 204379083) ავტორიზაციის ვადად 2021 წლის 28 ივნისიდან განესაზღვროს 1 (ერთი) წელი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობად განესაზღვროს 1450-ით (ქ. თბილისში - 1050-ით, ქ. ბათუმში - 400-ით)
2. შპს უმაღლესი სასწავლებელ მილენიუმს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისიწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის №701566 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია: 2021 წლის 28 ივნისი

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით